ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 45

12 თებერვალი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიასთან ერთად

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე;

საფინანსო საქალაქო სამსახური წარმომადგენელი - ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი- ნინო კვეტენაძე

შპს „თბილსერვისჯგუფი"- ლევან ჯღარკავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე,დავით უთმელიძე; ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დღის წესრიგის პირველ სამ საკითხს განიხილავს ორივე კომისია, ხოლო დღის წესრიგით წარმოდგენილი დანარჩენი საკითხების განხილვას განაგრძობს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისია.

კენჭი ეყარა დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:
1. ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობები (12-0319036156-03)
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს" შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით" ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" (12-03190432-03)

3. კომერციულ ბანკში საკრედიტო ხაზის გახსნის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ. (12-03190431-03)

4. საფინანსო-საქალაქო სამსახურის წერილი (№15-0319042179-03 11,02,2019წ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ"

5. ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზ.№9-25-ის მიმდებარედ არებული 173 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი:01.16.05.031.029) 9 კვმ მიწის ნაკვეთისლევან ლიპარტელიანისათვის (პ/ნ 53001011062) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. (№12-03190312-03)

6. „ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის" (ს/ნ 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №338 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების და ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 14 კვ.მ. საერთო ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის" (ს/ნ: 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (№12-03190312-03)

7. ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზირი №31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ:01.16.05.026.024) 15 კვმ მიწის ნაკვეთის შპს „სთარ"-ისთვის (ს/ნ 406178381) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.(№12-0319036159-03)

8. ქ.თბილისში, ლესელიძის ქუჩა №43-ის მიმებარედ არსებული 244 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ:01.18.03.065.033) 6 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ლალი გოჩიტაშვილისთვის (პ/ნ 01006019038) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.(№12-0319036159-03)

9. ქ.თბილისში, სოფ.შინდისში მდებარე წყალმომარაგებითი ქსელის (ს/კ; 81.00.885) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (№12-0319036155-03)

10. ქ.თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლების I მიკრორაიონში, მაგისტრალის დასაწყისის შუა ზოლში მდებარე 3123 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.19.20.001.138) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(№12-0319036155-03)

11. ქ.თბილისში, გლდანში, გიორგიწმინდას დასახლებაში არსებული 600 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:72.13.03.588) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(№12-0319036155-03

12. ქ.თბილისში, დასახლება ლილო, I მიკრორაიონი, კორპ.№12-ში (საკ/კოდი: 01.19.27.008.005.01.123) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(№12-031903622-03)

13. ქ.თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, ნე-2 ჩიხი №10-ში (საკ/კოდი:01.13.01.006.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(№12-031903622-03)

14. ქ.თბილისში, ლეხ კაჩინსკის ქუჩა №13-ში (საკ/კოდი:01.17.13.022.003.01.521 და №01.17.13.022.003.01.522) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(№12-031903622-03)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობები.

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ნინო კვეტენაძემ.

განსახილველად წარმოდგენილია ვარკეთილის ტერიტორიაზე ავარიულ კორპუსებში მცხოვრები ოჯახებისათვის ავარიული ბინების სანაცვლოდ, ახალი საცხოვრებელი ბინების გადაცემისათვის, ვარკეთილის მე-3 მასივში 30 205 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.19.20.020.025) კონკურენტული შერჩევის

საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით, 1 ლარად პრივატიზებით და პირობადადებულ საკუთრებაში გადაცემა, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირისათვის. ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტი განსახილველად წარმოდგენილი იყო ადრეც, თუმცა ეხლა შეიცვალა მიდგომები. ინტერესთა გამოხატვა წარიმართება 5 ლოტად. თითოეული ლოტი გულისხმობს სამშენებლო ფაზას არაუმეტეს 36 თვისა. ლოტების რიგითობას განსაზღვრავს გამარჯვებული პირი. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტს უნდა გადმოეცეს ბინების საერთო ფართის მინიმალური ჯამური ოდენობა 7500 კვმ თეთრი კარკასის მდგომარეობაში. თითო ლოტზე განსაზღვრულია გადმოსაცემი ფართი მინიმუმ 1500 კვმ.

საკითხთან დაკავშირებით, ფრიდონ ინჯიას შეკითხვაზე ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი პირველ ლოტზე აუცილებლად წარმოადგენს საბანკო გარანტიას და მუნიციპალიტეტს გადმოსცემს 1500 კვმ ფართს, საერთო ფართის დაახლოებით 15 %-ს. დახარჩეხი ფართების გაყიდვა თუ უნდა გაყიდის, ხოლო ირაკლი ზარქუას შეკითხვაზე დააზუსტა, რომ თუ კომპანიას სურვილი აქვს პირველივე ლოტზე შეუძლია მუნიციპალიტეტს გადასცეს 7500 კვმ ფართი (ვაჭრობა იწყება 7500 კვმ ფართიდან) და შემდეგ გააგრძელოს დანარჩენი ლოტების მშენებლობა, კომპანიას სამშენელო გარანტიის წარმოდგენა არ მოუწევს, თუმცა მშენებლობის ვადები გაწერილი იქნება.

ირაკლი ნადირაძე აღნიშნა, რომ ე.წ „ხრუშოვკების“ თემა მწვავე პრობლემაა, გასაგებია რომ მუნიციპალიტეტს გადმოეცემა 7500 კვმ ფართი, თუმცა თავდაპირველად წარმოდგენილი პროექტი წარუმატებელი აღმოჩნდა და დაინტერესდა ეს პირობები რომელიმე ინვესტორებთან შეთახმებითაა მიღებული? არ აღმოჩნდეს რომ პირობები ისევ არასწორადაა და ისევ თავიდან გავასწორებთ, გარდა ამისა დაინტერესდა თუ არის შეთანხმებული მოსახლეობასთან კონკრეტულად რომელი კორპუსიდან იწყება მოსახლეობის გაყვანა, რადგან ეს პროცესი მუდმივად პრობლემაა. კარგი ადგილი და პირობებიც რომ შესთავაზო, მოსახლეობას მაინც თავისი ადგილი ურჩევნია“-აღნიშნა მან.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ როდესაც ინტერესთა გამოხატვაში კომპანიებმა მონაწილეობა არ მიიღეს და პროექტი არ შედგა, მომზადდა კითხვარი და ძირითად პრობლემად გამოიკვეთა საბანკო გარანტია, რაც შეეხება მოსახლეობასთან შეხვედრებს, ნინო კვეტენაძის აზრით სანამ პროექტი არ შედგება, მოსახლეობასთან შეხვედრას აზრი არ აქვს.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ინტერესია, რომ ინვესტორი მუნიციპალიტეტს გადმოსცემს მინიმუმ 7500 კვმ ფართს.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ თავი შეიკავა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, საქართველოს და ევროპის რეკონსტრქუციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „ თბილისის მყარი ნარჩენების პროქტთან დაკავშირებით“ 2018 წლის 27 ნოემბერს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას 15 მლნ ევროზე. პროექტთან დაკავშირებით გაფორმდა საქართველოსა და EBRD-ს შორის პროექტის მხარდაჭერის, ხოლო შპს „თბილსერვის ჯგუფს“ და EBRD-ს შორის საპროექტო ხელშეკრულებები. აღნიშნულის თანახმად, ფინანსთა სამინისტრო სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, გადასცემს თბილისის მუნიციპალიტეტს 15 მლნ ევროს.

საკითხთან დაკავშირებით ლევან ჯღარკავამ დამატებით განმარტა, რომ პროექტის განხორციელების მხარდაჭერის ღირებულებაა 400,0 ათასი ევრო, ადმინისტრირების გადასახადი 150,0 ათასი ევრო. 14 850,0 ათასი ევრო დაიხარჯება შემდეგ კომპონენტებზე:

ავტოპარკის განახლება 9 200,0 ათასი ევრო, რაც გულისხმობს 63 ერთეული სხვადასხვა მოცულობის ნაგავმზიდი მანქანის შესყიდვას; 12 ერთეული ნარჩენების გადამტვირთავი მანქანების შესყიდვას და 7 ერთეული მექანიკური დამგველების შესყიდვას. შემდეგი კომპონენტი არის გადამტვირთი სადგურის მშენებლობა და რეაბილიტაცია 1 300,0 ათასი ევრო და წყლის გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია 4 350,0 ათასი ევრო. აღნიშნული კომპონენტი მოიცავს რეცირკულაციის სისტემის მოწყობას, გამორეცხვის სისტემის მოწყობას და ნაჟური წყლის შემკრები აუზისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-განახლებას.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები ქონდათ მარინა დათუკიშვილს , ოთარ გრიგოლიას, ირაკლი ნადირაძეს.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა:" „თბილსერვისჯგუფთან" შეკითხვები არ გვაქვს, მაგრამ როდესაც ბიუჯეტს ვამტკიცებდით, ბიუჯეტში დეტალურად გვქონდა გაწერილი რომ ნაგავმზიდი მანქანები უნდა გვეყიდა ჩვენი სახსრებით. რა შეიცვალა, მანქანები დამატებით კიდევ გვჭირდება? „ შეკითხვაზე ლევან ჯღარკავამ განმარტა, რომ ქალაქს ემსახურება 200 მანქანა, 25 ერთეული შევიძინეთ , საკმარისი არ არის და საჭიროა კიდევ 63 ერთეული მანქანის შეძენა.

იარკლი ზაქუამ, აღნიშნა რომ ეს საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯია. მან მადლობა გადაუხადა საერთაშორისო ორგანიზაციას დახმარებისათვის, რომ საშუალება გვეძლევა კიდევ უფრო მივუახლოვდეთ ევროსტანდარტებს და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე- 8. ირაკლი ნადირაძემ თავი შეიკავა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: კომერციულ ბანკში საკრედიტო ხაზის გახსნის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, ეს არის წინასწარი თანხმობა. ვითხოვთ საკრედიტო ხაზის გახსნას კაპიტალური ინვესტიციების განხორციელებისათვის. შედგა რამოდენიმე მოლაპარაკება ცენტრალურ მთავრობასთან ტრასნფერის სახით დაფინანსების მიღებაზე. საუბარი იყო 75 მლნ ლარზე, რომელიც შემდეგ გაიზარდა და იქნება 100 მლნ ლარზე მეტი. საკრედიტო ხაზი არ ნიშნავს წინასწარ სესხის აღებას და თანხების ხარჯვას. იზრდება მხოლოდ ასიგნებები და რა პროექტების დაფინანსებაც გვაქვს გადაწყვეტილი. იმ პროექტებზე გამოცხადდება ტენდერები. გამომდინარე იქედან, რომ ცენტრალურ ბიუჯეტში ცვლილება უნდა შევიდეს მეორე კვარტალში, ჩვენ ვაზღვევთ პროცესებს, რომ დრულად გამოცხადდეს ტენდერები და შესასრულებელი სამუშაოების განხორცილება მოესწროს ზაფხულში თვეში. ტრანსფერის მიღების შემდეგ შესაძლებელი იქნება საკრედიტო ხაზის გადაფარვა.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა: „ჩვენი აზრით ქალაქში მწვვე პარობლემებია და პროექტების დაფინანსება არ უნდა გადაიდოს. გასაგებია რომ საკრედიტო ხაზის გახსნა არ ნიშნავს პირდაპირ ფულის ხარჯვას, მაგრამ ჩვენ გვიწევს პროცენტის გადახდა. უნდა ვიცოდეთ რომელ ბანკთან ვდებთ ხელშეკრულებას, რა თანხა დაგვიჯდება და რა პროცენტზეა საუბარი.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ წერილები დაგზავნილია ყველა კომერციულ ბანკში, რომელი ბანკის პირობაც მისაღები იქნება, იმ პირობებს წარმოვადგენთ საკრებულოში შესათანხმებლად. შესაძლებელია საკრედიტო ხაზის გამოყენება არც დაგვჭირდეს ან დაგვჭირდეს პირობითად 100 000 ლარი.

მარინა დათუკიშვილის შეკითხვაზე, თუ როდის მივიღებთ ტრანსფერს, გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ როგორც კი ცენტრალურ ბიუჯეტში ცვლილება შევა.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა : „ჩვენ თანხმობას ვაძლევთ, რომ ნაბიჯები გადაიდგას ისეთი პროექტების დაფინანსებისთვის, როგორიცაა კახეთის გზატკეცილის რეაბილიტაცია, ქალაქის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში: ვირის ხიდის აღდგენა-მშენებლობა, ფიროსმანის, გუდიაშვილის, გორგასლის ქუჩების, ორბელიანის მოედანზე ორი სახლის (31და 35) რეაბილიტაცია და სხვა. დრო რომ არ დავკარგოთ და დროში არ გაიწელოს ამით არის ეს იდეა ნაკარნახევი.“

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

მომხრე-8, წინააღნდეგი- ირაკლი ნადირაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: საფინანსო-საქალაქო სამსახურის წერილი (№15-0319042179-03 11,02,2019წ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“

საკითხის შესახებ ისაუბრა ლევან მიქავამ.

სამგორის რაიონს, პროგრამაში „კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში“ (კოდი 2.9.17) პირველ კვარტალში დამატებით ესაჭიროება 369000 ლარი. გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ ამინდის ხელშეწყობით შესრულებულმა სამუშაოებმა, როგორიცაა წყალსადენის,სანიაღვრე ქსელი, სპორტული მოედნებისა და სკვერების მოწყობა შეადგინეს 814000 ლარი და პირველ კვარტალში გეგმით გათვალისწინებული თანხები საკმარისი არაა. ა(ა)იპ მუნიციპალური განვითრების სააგენტო, სააგენტოს გამართული მუშაობისათვის ითხოვს პირველ კვარტალში თანხების გადმოტანას მომდევნო კვარტლებიდან. გარდა ამისა ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ გაზრდილი გეგმებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა პირველ კვარტალში პროგრამაში „გზების მშენებლობა და აღდგენა“ (კოდი 01 01 01) 1 150 000 ლარის ათვისება. ასევე არასაკმარისი თანხებია პირველ კვარტალში სარეზევო ფონდში და მესამე და მეოთხე კვარტლებიდან პირველ კვარტალში ხდება 300 000 ლარის გადმოტანა.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც პროგრამა „კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში“ (კოდი 02 09 17) პირველი კვარტალი იზრდება საერთო ჯამში 369 000 ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) პირველი კვარტალი იზრდება სართო ჯამში 478 334 ლარით და სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22)

იზრდება 300 000 ლარით, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილის დანართის შესაბამისად პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.**

მოისმინეს: ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზ.№9-25-ის მიმდებარედ არებული 173 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი:01.16.05.031.029) 9 კვმ მიწის ნაკვეთის ლევან ლიპარტელიანისათვის (პ/ნ 53001011062) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

ლევან ლიპარტელიანს აღნიშნულ მისამართზე იჯარით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა 9 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წლიური საიჯარო ქირაა 1700 ლარი.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის" (ს/ნ 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №338 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების და ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 14 კვ.მ. საერთო ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის" (ს/ნ: 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (№12-03190312-03)
თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 7 ნოემბრის #18.904.1300 განკარგულებით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის #338 განკარგულებით დაკმაყოფილდა შპს „სამშობლოს" (ს/ნ: 404984228) ელექტრონული განცხადებები (QN1618528; QN1629889) და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 29 კვ.მ. საერთო ფართობის სამი მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, ამ კომპანიისთვის იჯარის ფორმით გადაცემაზე - პანდუსის მოწყობის მიზნით.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან შესაბამისი საიჯარო ურთიერთობის გაფორმებამდე, კომპანიამ სააგენტოში დააზუსტა მოთხოვნა და განაცხადა, რომ სამი ნაკვეთიდან ერთ-ერთი: 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთი აღარ ესაჭიროება პანდუსისთვის. პანდუსის მოწყობისთვის ითხოვა დანარჩენი ორი მიწის ნაკვეთი (7 კვ.მ. ფართობებით), ხოლო 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ადგილას ითხოვა 35 კვ.მ. ფართობის ტერიტორია - ღია კაფისთვის. პანდუსების მოწყობის საკითხში მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს კომპანიის განახლებული პოზიცია. რაც შეეხება მოთხოვნილი ტერიტორიის ერთ-ერთ ადგილზე ღია კაფის მოწყობას, საკითხი საჭიროებს გარკვეული დოკუმენტაციის წარმოდგენას.
შესათანხმებლად წარმოდგენილია 14 კვ.მ. საერთო ფართობის ორი მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხი, პანდუსის მოწყობის მიზნით 10 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1700 ლარის ოდენობით.
მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზირი №31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ:01.16.05.026.024) 15 კვმ მიწის ნაკვეთის შპს „სთარ"-ისთვის (ს/ნ 406178381) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

შპს „სთარ"-ს პირდაპირი განკარგვის ფორმით, იჯარით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა 15 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოწყობის მიზნით. კომპანია იჯარით ფლობს დავით აღმაშენებლის გამზირი №33-ში მდებარე შენობაში არსებულ ფართს 2019 წლის 1 დეკემბრამდე ვადით. 15 კვმ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის ვადაც განისაზღვრა 2019 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდი, წლიური საიჯარო ქირად 2700 ლარი.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ლესელიძის ქუჩა №43-ის მიმებარედ არსებული 244 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ:01.18.03.065.033) 6 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ლალი გოჩიტაშვილისთვის (პ/ნ 01006019038) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

6 კვმ მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა ლალი გოჩიტაშვილს ღია კაფეს მოწყობის მიზნით. აღნიშნული პირის საკუთრებაშია კოტე აფხაზის ქ.№43-ში მდებარე ფართი. წლიური საიჯარო ქირაა 1100 ლარი.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, სოფ.შინდისში მდებარე წყალმომარაგებითი ქსელის (ს/კ; 81.00.885) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ქონების მართვის სააგენტოს მომართა მთაწმინდის გამგეობამ და შპს „ბილდინგ-დეველოპერთან" (ს/ნ 406039692) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სოფ.შინდისში მოწყობილ წყლის მაგისტრალურ და გამანაწილებელ ქსელთან დაკავშირებით, ითხოვა აღნიშნული ხაზობრივი ნაგებობის რეგისტრაცია და ამხანაგობისთვის გადაცემა. გამგეობა იღებს ვალდებულებას, წყლის გამანაწილებელი ქსელი და ტერიტორიაზე განთავსებული სატუმბი სადგური ელექტროენერგიით უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით. მიწის ნაკვეთის საპრივატიზები საფასური განისაზღვრა სიმბოლური ფასით 1 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლების I მიკრორაიონში, მაგისტრალის დასაწყისის შუა ზოლში მდებარე 3123 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.19.20.001.138) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

რომიკა მაისურაძემ განცხადებით მომართა მერიას და ითხოვა მის მიერ თბილისის თვითმმართველი ერთეულისთვის საკუთრებაში გადაცმული 3123 კვ.მ მიწის ნაკვეთის უკან დაბრუნება. მიწის ნაკვეთი დღეისათვის რეგისტრირებულია №01.19.20.001.138 საკადასტრო კოდით. მოქალაქე აღნიშნავს, რომ 2011-2012 წლებში, აღნიშნული მიწის ნაკვეთი იძულებით დაათმობინეს ზეწოლის შედეგად და მის ნაცვლად, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად შეასყიდეს მიმდებარედ არსებული 3123 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.19.20.001.092). მოქალაქის სარჩელი ადრე მიღებული გადაწყვეტილებებისა და ხელშეკრულებების ბათილად ცნობის შესახებ არ დააკმაყოფილა არც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტარციულ

საქმეთა კოლეგიამ და არც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტარციულ საქმეთა პალატამ. ამჟამად საქმე წარდგენილია უზენაეს სასამრთლოში. მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. თვითმმართველის საკუთრებაში არსებული 3 123 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2018 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 530 910 ლარის ოდენობით. ხოლო, რომიკა მაისურაძის საკუთრებაში არსებული 3 123 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2018 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 624 600 ლარის ოდენობით. ქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, **2019 წლის 30 იანვრის N19.86.126 განკარგულებით** მიზანშეწონილად მიიჩნევს,ვარკეთილი-3-ის დასახლების I მიკრორაიონში, მაგისტრალის დასაწყისის შუა ზოლში მდებარე 3123 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.19.20.001.138) გაცელას, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, რომიკა მაისურაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩაზე, №7 გამყოფ ზოლში მდებარე 3123 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.19.20.001.092) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები ქონდათ ვახტანგ შაქარიშვილს, მარინე დათუკიშვილს, დავით უთმელიძეს. კომისიის წევრები დაინტერესდნენ რატომ, რა პრინციპით სურს მოქალაქეს მისი ძველი მიწის ნაკვეთის დაბრუნება, როდესაც ორი ერთმანეთის გვერდით მდებარე ერთი ფართობის მქონე მიწის ნაკვეთებია და ორივე ნაკვეთი ფუნქციურად სატრანსპორტო ზონაა. ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ ადამიანს უნდა თავისი ქონების დაბრუნება, გარდა ამისა საქმე სააპელაციო სასამართლოშია და ამით სასამართლო დავის პროცესი დამთავრდება.გარდა ამისა მუნიციპალიტეტისათვის დასაბრუნებელი მიწის ნაკვეთის ღირებულება უფრო მეტია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, გლდანში, გიორგიწმინდას დასახლებაში არსებული 600 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:72.13.03.588) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

იაგო წიკლაურმა მიმართა ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა დახმარება მისი რვასულიანი ოჯახის წინაშე წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში. 2002 წელს,დასახლებაში მომხდარი წყალდიდობის შედეგად დაზიანდა მისი საცხოვრებელი სახლი, ტეროტორია გახდა მეწყერული ზონა. მან არაერთხელ სცადა საცხოვრებლად უვარგის მდგომარეობაში მყოფი სახლის გამაგრება, თუმცა უშედეგოდ. სსიპ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნით , სახლის ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია, ხოლო ახალი სახლის აშენება მეწყერული პროცესების გამო დაუშვებელი. იაგო წიკლაურს გიორგიწმინდას დასახლებაში ქონდა თვითნებურად დაკავებული 600 კვმ მიწის ნაკვეთი, რომელიც ვერ დაიკანონა და ითხოვს დახმარებას, აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტს გადასცეს დამეწყრული მიწის ნაკვეთი, ხოლო სანაცვლოდ გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ააშენებს ახალ სახლს , საკუთარი სახლის დემონტაჟით და ძველი მასალებით. გლდანის რაიონის გამგეობა გამოთქვამს მზადყოფნას, უზრუნველყოს მოქალაქისათვის ქირის ანაზღაურება, ქირის დანიშვნიდან ორი წლის განმავლობაში. რაც შეეხება სახლის დემონტაჟისათვის საჭირო ღონისძიებებს, გამგეობა უზრუნველყოფს მას მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი დავალების მიღების შემდგომ.

კომისიის წევრების შეკითხვაზე, ნინო კვეტენაძემ განმარტა, გამომდინარე იქედან რომ იაგო წიკლაურის კუთვნილ მიწის ნაკვეთი მეწყერული ზონაა და ღირებულება არ აქვს და გამომდინარე იქედან, რომ მოქალაქე სოციალურად დაუცველია, იგი ვერ გადაიხდის სანაცვლოდ გადასაცემი მიწის ნაკვეთის ღირებულებას და სააგენტო წავიდა პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, დასახლება ლილო, I მიკრორაიონი, კორპ.№12-ში (საკ/კოდი: 01.19.27.008.005.01.123) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მოქალაქე ლია გულაშვილს, სიმბოლურ ფასად გადაეცემა 17 კვმ საცხოვრებელი ფართი აღნიშნულ მისამართზე. პიროვნება აღნიშნულ ბინაში ცხოვრობს 2003 წლიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, ნე-2 ჩიხი №10-ში (საკ/კოდი:01.13.01.006.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

6 ოჯახს, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცემათ აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, მე-2 ჩიხი №10 ში, მდებარე, ჯამში 223,10 კვმ საცხოვრებელი ფართი. ეს ოჯახები აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 2000-2004 წლებიდან და მათზე საჯარო რეესტრის მიხედვით თბილისში სხვა ქონება არ ფიქსირდება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ლეხ კაჩინსკის ქუჩა №13-ში (საკ/კოდი:01.17.13.022.003.01.521 და №01.17.13.022.003.01.522) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ორ ოჯახს, ლეხ კაჩინსკის ქუჩა №13-ში მდებარე ფართი, ჯამში 186,84 კვმ გადაეცემათ სიმბოლურ ფასად. მოქალაქეები აღნიშნულ ფართებს ფლობენ და სარგებლობენ 2006 წლიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-8. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა